თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2018 წლის 15 ნოემბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს, და

რეკომენდაციით მიმართავს:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას:

იმისათვის, რათა საქართველოში მოქმედმა ტელერადიომაუწყებლებმა დაიცვან „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, კენჭისყრის დღეს (00:00 საათიდან 24:00 საათამდე) აკრძალულია წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში, ასევე, აკრძალულია არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ

1) კიდევ ერთხელ შეახსენოს საქართველოში მოქმედ ტელერადიომაუწყებლებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2018 წლის 9 ნოემბერს გამოცემული რეკომენდაცია;

2) განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმათა დაცვის მონიტორინგი და მათი დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.